

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, საქართველოს პარლამენტი და პოლიტიკური  
პარტიები

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი  
აპრილი, 2013 წელი

2010 წლის თებერვალში საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, საქართველოს პარლამენტსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის, პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით, ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომლის მიზანი იყო იმ დროისთვის ახალი პოლიტიკური არხის - საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის - ფორმატა და პროგრამებზე შეთანხმება. აღნიშნული მემორანდუმის მოქმედების ვადა განისაზღვრა მორიგ საპარლამენტო არჩევნებამდე. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს პარლამენტისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ინიციატივით მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების მოქმედების ვადა გახანგრძლივდა ახალ მემორანდუმზე შეთანხმებამდე. 2013 წლის იანვარში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით გაიმართა შეხვედრები კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას შორის მემორანდუმის ტექსტის გადასინჯვისა და მეორე არხის პროგრამების განხილვის მიზნით. შეხვედრების შედეგად მხარეები შეთანხმდნენ ძირითად პრინციპებზე, რასაც ხელმოწერით ადასტურებენ შემდეგი სუბიექტები: საქართველოს პარლამენტი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პოლიტიკური პარტიები.

მემორანდუმზე ხელის მომწერი მხარეები თანხმდებიან:

- არხი უზრუნველყოფს პარლამენტის პლენარული სხდომების და მნიშვნელოვანი საკომიტეტო განხილვების პირდაპირ ეთერში გაშუქებას.
- არხი უზრუნველყოფს ხელმომწერი პოლიტიკური პარტიებისთვის ყოველდღიურად დროის გამოყოფას პირდაპირი ეთერის რეჟიმში. პარტიებს დაეთმობათ ერთსაათიანი ზოლი („თავისუფალი ტრიბუნა<sup>1</sup>“), რომელსაც გადაინაწილებენ თანმიმდევრობით. გადაცემა ეთერში გავა პრაიმტაიმში (19:00 – 20:00 საათი).
- თუ „თავისუფალი ტრიბუნის“ ახალი ფორმატი გარკვეული დროის შემდეგ მიუღებელი აღმოჩნდება რომელიმე პოლიტიკური სუბიექტისთვის, მაშინ კვალიფიციურ სუბიექტებს ვისაც ამის სურვილი ექნებათ ორი თვით ადრე აღნიშნულის შესახებ შეატყობინებენ მეორე არხის ხელმძღვანელობას და ეს სუბიექტი ძველი ფორმატის რეჟიმში გააგრძელებს მისთვის განკუთვნილი საეთერო დროის გამოყენებას.
- „თავისუფალი ტრიბუნისთვის“ განკუთვნილი დროის რიგითობის განსაზღვრის წესზე თანხმდებიან მემორანდუმზე ხელისმომწერი პარტიები.
- მონაწილე პარტიებს არ აქვთ უფლება საკუთარი დრო გადასცენ ან დაუთმონ სხვა სუბიექტს. დროის გაცვლა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე პარტიებს შორის.
- არხი უზრუნველყოფს დებატებს<sup>2</sup> კანონოპროექტებზე, რომელთა განხილვაც მიმდინარეობს

<sup>1</sup> ფორმატისთვის იხილეთ მემორანდუმის დანართი

<sup>2</sup> ფორმატისთვის იხილეთ მემორანდუმის დანართი

პარლამენტში. ასევე, არასასესიო პერიოდში დებატებს სხვა აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე. დებატები ეთერში გავა კვირაში არანაკლებ ერთხელ და პარტიების დაცვით მასში მონაწილეობას მიიღებენ როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, გადაცემების თანდართული ფორმატის და პირობების შესაბამისად.

- „თავისუფალი ტრიბუნისა“ და დებატების ანონსი გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში წინა დღეს.
- საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს სადამოს ეთერში გასული გადაცემების გამეორებას დილის ეთერში, რამაც ხელი არ უნდა შეუშალოს საქართველოს პარლამენტიდან პლენარული და კომიტეტების სხდომების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებას.
- საზოგადოებრივი მაუწყებელი მემორანდუმზე ხელისმომწერ პარტიებს სთავაზობს მათი ბრიფინგების და პრეს-კონფერენციების არაუმეტეს პირველი 15 წუთის იმავე დღეს გადაცემას პოლიტიკური არხის ეთერში. არხს, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუძლია ხელმომწერი პარტიების ბრიფინგებისა და პრესკონფერენციების პირველ 15 წუთზე მეტი გადასცეს ეთერში.
- პარტიები, რომლებიც ხელს არ მოაწერენ მემორანდუმს არ ისარგებლებენ პოლიტიკური არხის სრული მომსახურებით. არხი უზრუნველყოფს იმ პარტიების ბრიფინგების პირველი 15 წუთის ჩანაწერის იმავდღიურ გადაცემას, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, მაგრამ არ არიან მემორანდუმზე ხელისმომწერები.
- პარტიები პირდაპირ ეთერში იმოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობაში, სხვა ნორმატიულ აქტებსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსში ასახული ეთიკური ნორმების შესაბამისად.
- მემორანდუმზე ხელმომწერი პარტიების სიას და ცვლილებებს ხელმომწერთა სიაში საზოგადოებრივ მაუწყებელს და ხელმომწერ პოლიტიკურ პარტიებს აწვდის ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI).
- მემორანდუმი ღიაა ხელმოწერისთვის 2013 წლის 3 მაისამდე.
- *მემორანდუმი ძალაშია 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, რის შემდეგაც, მონაწილე პარტიების წრე განისაზღვრება მხოლოდ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიებით.*

#### **პარტიების მონაწილეობის შეთანხმებული კრიტერიუმები:**

- 2010 წლის 22 თებერვლის მემორანდუმზე ხელმომწერი პოლიტიკური პარტიები
- პარტიები, რომელთაც ჰყავთ წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში
- კვალიფიციური პოლიტიკური პარტიები